საქართველოს პარლამენტის
აპარატის
იურიდიული დეპარტამენტი

LEGAL DEPARTMENT
OF STAFF OF
PARLIAMENT OF GEORGIA

საქართველოს პარლამენტი

თბილისი 0114, რუსთაველის გამზ. №8
ტელ: (995 32) 2281394
ელ. ფოსტა: legaldep@parliament.ge

8 Rustaveli Avenue, 0114,Tbilisi,Georgia,
(995 32) 2281394
e-mail: legaldep@parliament.ge

№ 137
„17" „06" 2019 წ.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის წევრების - თამარ ხულორდავას, ირინე ფრუიძის, ბექა ნაცვლიშვილის, გიორგი გაჩეჩილაძის, შოთა ხაბარელის, ზაზა ხუციშვილის, გიორგი მოსიძის, გუგული მაღრაძის, გიორგი ხატიძის, გურამ მაჭარაშვილის, სოფიო ქაცარავას, დიმიტრი ცქიტიშვილის, ნინო წილოსანის, აკაკი ზოიძის, თამარ ჩუგოშვილის, გიორგი ვოლსკის, ენძელა მაჭავარიანის, დიმიტრი ხუნდაძის და არჩილ თალაკვაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტების (№07-3/368; 12.06.2019) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განხილვის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 102-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრების - თამარ ხულორდავას, ირინე ფრუიძის, ბექა ნაცვლიშვილის, გიორგი გაჩეჩილაძის, შოთა ხაბარელის, ზაზა ხუციშვილის, გიორგი მოსიძის, გუგული მაღრაძის, გიორგი ხატიძის, გურამ მაჭარაშვილის, სოფიო ქაცარავას, დიმიტრი ცქიტიშვილის, ნინო წილოსანის, აკაკი ზოიძის, თამარ ჩუგოშვილის, გიორგი ვოლსკის, ენძელა მაჭავარიანის, დიმიტრი ხუნდაძის და არჩილ თალაკვაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტები (№07-3/368; 12.06.2019) და აღნიშნავს შემდეგს:

პაკეტში შემავალ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტს „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად თან ერთვის ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის ცხრილები, რომლებშიც წარმოდგენილია მათ შორის: ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის 2011/83/EU დირექტივა „მომხმარებლის უფლებების შესახებ და

საბჭოს 93/13/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივების შეცვლისა და საბჭოს 85/577/EEC და ევროპარლამენტისა და საბჭოს 97/7/EC დირექტივების გაუქმების თაობაზე“ და 2004 წლის 27 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს რეგულაცია (EC) No 2006/2004 ,,მომხმარებლის დაცვის შესახებ კანონების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ (რეგულაცია მომხმარებლის დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ)“. გასათვალისწინებელია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დანართი N1-ის (ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი) შენიშვნა მოითხოვს, რომ „ამ ცხრილში უნდა აისახოს ევროკავშირის სამართლებრივი აქტის სრული ტექსტი, გარდა მისი პრეამბულისა“, ხოლო ზემოთხსენებული დირექტივისა და რეგულაციის ტექსტები სრული სახით არ არის წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინებით იურიდიული დეპარტამენტი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტის ბიუროს, იმსჯელოს წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის პროცედურის დაწყების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ალექსანდრე ტაბატაძე

დეპარტამენტის უფროსი